ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლა

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა

შიშზე დაფუძნებული პროპაგანდის გავლენა ქართველ საზოგადოებაზე: შემთხვევის ანალიზი – „აბა ომი გინდათ?“

ავტორი: ქრისტინე მეტრეველი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინე ჭელიძე

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქრისტინე მეტრეველი

ანოტაცია/ Abstract

ეს ნაშრომი ეხება კონკრეტულ შიშზე დაფუძნებული პოლიტიკური პროპაგანდის გავლენას თანამედროვე ქართულ საზოგადოებაზე და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2022 წლიდან მთავრობის მხარდამჭერი მედიასა და პოლიტიკურ რიტორიკაში დომინანტურად გამოყენებული გზავნილის – „აბა, ომი გინდათ?“ – შემთხვევის ანალიზს. კვლევის მიზანია დაადგინოს, როგორ ფუნქციონირებს შიშზე აპელირებადი ნარატივი საზოგადოებრივ აღქმაში, რა ფსიქოლოგიურ მექანიზმებს იყენებს და როგორ რეაგირებს სხვადასხვა აუდიტორია აღნიშნულ გზავნილზე.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი ეფუძნება შერეულ მეთოდს: თვისობრივად გაანალიზებულია მთავრობის მხარდამჭერი და ოპოზიციური მედიაკონტენტი, დისკურსი და სატირული პლატფორმები, ხოლო რაოდენობრივად შესწავლილია 107 რესპონდენტის ონლაინ-გამოკითხვის მონაცემები, სადაც ხაზგასმულია გზავნილის კრიტიკული თუ ნდობით აღქმის დემოგრაფიული, სოციოკულტურული და ინფორმაციული ტენდენციები.

კვლევის ძირითადი მიგნებები აჩვენებს, რომ საზოგადოების უმრავლესობა გზავნილს აღიქვამს როგორც პოლიტიკური მანიპულაციის იარაღს, თუმცა მისი ეფექტიანობა იზრდება იმ სეგმენტებში, ვისაც მაღალი ნდობა აქვს ხელისუფლების ან მის მიერ კონტროლირებადი მედიის მიმართ. აღმოჩნდა, რომ ოპოზიციურად განწყობილი და მედიაწიგნიერი აუდიტორია მეტ სკეპტიციზმს ავლენს, ხოლო სატირული და კრიტიკული კონტრპროპაგანდა ეფექტიანია ძირითადად ახალგაზრდულ ჯგუფებში. ნაშრომი ასკვნის, რომ შიშზე დაფუძნებული ნარატივი წარმატებით იყენებს ისტორიული ტრავმის და ემოციური კოდების ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, თუმცა მისი გრძელვადიანი გავლენა მნიშვნელოვნად განისაზღვრება მედიაწიგნიერებისა და დემოკრატიული ჩართულობის დონით.

This thesis explores the impact of fear-based political propaganda on contemporary Georgian society, with a special focus on the government-driven narrative “Do you want war?” (in Georgian: „აბა, ომი გინდათ?“), which has become dominant in pro-government media and political rhetoric since 2022. The research aims to reveal how such fear-driven narratives function in public perception, what psychological mechanisms they employ, and how different audience segments respond to these messages.

Methodologically, the thesis employs a mixed-methods approach: it provides a qualitative discourse and content analysis of pro-government and opposition media, as well as satirical platforms, and quantitatively analyzes data from an online survey of 107 respondents, highlighting demographic, sociocultural, and informational patterns in how the message is perceived either critically or trustfully.

The main findings indicate that most of the audience perceives the message as a tool of political manipulation, yet its effectiveness increases among those with higher trust in the government or government-affiliated media. Opposition-minded and media-literate groups tend to show greater skepticism, while satirical and critical counterpropaganda is effective primarily among younger audiences. The thesis concludes that the fear-based narrative strategically leverages the psychological mechanisms of historical trauma and emotional coding, but its long-term impact largely depends on the level of media literacy and democratic participation in Georgian society.